

## მიწიერ და არამიწიერ ცივილიზაციათა ურთიერთკავშირის შესახებ

**გიზო ვაშაკიძე**

ელ-ფოსტა: [gizo.vashakidze@tsu.ge](mailto:gizo.vashakidze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ, მე-3 კორპ., თბილისი, 0179, საქართველო;

უცხო ცივილიზაციების აღმოჩენის სამეცნიერო პრობლემატიკაში ცალკე დგას მეტად რთული ამოცანა, რომელიც ეხება დედამიწაზე არსებულ სხვადასხვა აუხსნელ მოვლენას ან ნიმუშს, რომელიც არ თავსდება ჩვენს გამოცდილებასა და წარმოდგენებში. დღემდე გაკვირვებას იწვევს რამდენიმე ცნობილი მეგალიტური ნაგებობა თავისი დანიშნულებისა და შექმნის ტექნოლოგიის თვალსაზრისით.

ჩვენი პლანეტის სხვასდასხვა კუთხეში მიგნებულ იქნა განლაგებული პიქტოგრამების შინაარსის ამოკითხვის საერთო წესები. მიუხედავად პიქტოგრამების სხვადასხვა კონტინენტზე არსებობისა, მიღებული შინაარსი ემთხვევა ერთმანეთს. პიქტოგრამებში გადმოცემულია ინფორმაცია დედამიწაზე რამდენიმე ათასი წლის წინ უცხო პლანეტიდან განხორციელებული ექსპედიციების შესახებ. კერძოდ, ექსპედიციის საფრენი ხომალდების გამოსახულებები, ხელოვნური თანამგზავრები, ელექტრომაგნიტური ტალღების გადამცემი დანადგარები, მათი ვარსკვლავის ზუსტი კოორდინატი, მათი საცხოვრებელი პლანეტის აღწერილობა, ექსპედიციის კოსმოსში ფრენის სპირალური ტრაექტორიები და სხვ.

დედამიწაზე არსებულ სპირალური ტიპის დამწერლობას, ჩემი მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ექსპედიციების ფრენის სპირალურმა ტრაექტორიებმა ჩაუყარა საფუძველი. სპირალური სახის პიქტოგრამები გვხვდება პერუში, მექსიკაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, საქართველოში, ჩრდილო კავკასიაში...

1908 წელს საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში არქეოლოგიური გათხრების დროს თიხის ფირფიტას მიაკვლიეს. თიხის ფირფიტა დისკოს ფორმისაა, დისკოზე ორივე მხრიდან სპირალია დახატული, სპირალურ ლენტში კი პიქტოგრამებია განლაგებული.

დისკოზე არსებულმა სპირალურმა ფიგურებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და მონოგრაფიაში "ციური ექსპრესი" გამოვთქვი მოსაზრება დედამიწაზე სტუმართა და ფესტოსის დისკოს შესაძლო ურთიერთკავშირის შესახებ.

შესაბამისად კვლევა გაგრძელდა ამ მიმართულებით და მონოგრაფიაში "ფესტოსის დისკო - გზავნილი გალაქტიკიდან", გთავაზობთ დისკოს სრულ გაშიფვრას.